

# დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №20

2019 წლის 21 ოქტომბერი

ქ. დუშეთი

### „დუშეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1

„დუშეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №35 დადგენილებაში (matsne.gov.ge, სსმ, 27/12/2018, ს/კ: 190020020.35.152.016357) შეტანილ იქნეს ცვლილება. კერძოდ, დადგენილების დანართის სახით დამტკიცებული დუშეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

#### მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ინაშვილი

დანართი

#### თავი I

### დუშეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

#### მუხლი 1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11,374.0	12,462.5	4,048.7	8,413.8	21,870.5	11,902.6	9,967.9
გადასახადები	3,762.3	3,395.3	0.0	3,395.3	7,823.6	0.0	7,823.6
გრანტები	6,710.7	8,127.1	4,048.7	4,078.4	13,162.3	11,902.6	1,259.7
სხვა შემოსავლები	901.0	940.1	0.0	940.1	884.6	0.0	884.6



ხარჯები	5,828.1	7,098.9	3.4	7,095.5	8,758.7	827.5	7,831.2
შრომის ანაზღაურება	1,344.3	1,732.9	0.0	1,732.9	1,837.4	0.0	1,837.4
საქონელი და მომსახურება	1,106.9	1,179.0	3.4	1,175.6	2,138.6	748.9	1,389.7
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	89.7	108.4	0.0	108.4	45.0	0.0	45.0
სუბსიდიები	2,760.0	3,319.9	0.0	3,319.9	3,772.1	0.0	3,772.1
გრანტები	48.3	37.3	0.0	37.3	45.0	0.0	45.0
სოციალური უზრუნველყოფა	430.7	475.1	0.0	475.1	522.0	0.0	522.0
სხვა ხარჯები	48.2	246.3	0.0	246.3	398.6	178.6	220.0
საოპერაციო სალდო	5,545.9	5,363.6	4,045.3	1,318.3	13,111.8	10,975.1	2,136.7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4,602.5	4,122.6	3,065.0	1,057.6	17,884.4	14,263.5	3,620.9
ზრდა	4,755.5	4,225.6	3,065.0	1,160.6	17,896.4	14,263.5	3,632.9
კლება	153.0	103.0	0.0	103.0	12.0	0.0	12.0
მთლიანი სალდო	943.4	1,241.0	980.3	260.7	-4,772.6	-3,288.4	-1,484.2
ფინანსური აქტივების ცვლილება	580.1	913.0	980.3	-67.3	-5,052.7	-3,288.4	-1,764.3
ზრდა	812.5	980.3	980.3	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	812.5	980.3	980.3	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	232.4	67.3	0.0	67.3	5,052.7	3,288.4	1,764.3
ვალუტა და დეპოზიტები	232.4	67.3	0.0	67.3	5,052.7	3,288.4	1,764.3
ვალდებულებების ცვლილება	-363.3	-328.0	0.0	-328.0	-280.1	0.0	-280.1
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	363.3	328.0	0.0	328.0	280.1	0.0	280.1
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	363.3	328.0	0.0	328.0	280.1	0.0	280.1
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

**მუხლი 2. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

		ათასი ლარი	
		2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა



დასახელება	2017 წლის ფაქტი	მათ შორის			მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო	საკუთარი შემოსავლები
			ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები			ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	
შემოსულობები	11,527.0	12,565.5	4,048.7	8,516.8	21,882.5	11,902.6	9,979.9
შემოსავლები	11,374.0	12,462.5	4,048.7	8,413.8	21,870.5	11,902.6	9,967.9
არაფინანსური აქტივების კლება	153.0	103.0	0.0	103.0	12.0	0.0	12.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>გადასახდელები</b>	<b>10,946.9</b>	<b>11,652.5</b>	<b>3,068.4</b>	<b>8,584.1</b>	<b>26,935.2</b>	<b>15,191.0</b>	<b>11,744.2</b>
ხარჯები	5,828.1	7,098.9	3.4	7,095.5	8,758.7	927.5	7,831.2
შრომის ანაზღაურება	1,344.3	1,732.9	0.0	1,732.9	1,837.4	0.0	1,837.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,755.5	4,225.6	3,065.0	1,160.6	17,896.4	14,263.5	3,632.9
ვალდებულებების კლება	363.3	328.0	0.0	328.0	280.1	0.0	280.1
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>580.1</b>	<b>913.0</b>	<b>980.3</b>	<b>-67.3</b>	<b>-5,052.7</b>	<b>-3,288.4</b>	<b>-1,764.3</b>

### მუხლი 3. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 21 870.5 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11,374.0	12,462.5	4,048.7	8,413.8	21,870.5	11,902.6	9,967.9
გადასახადები	3,762.3	3,395.3	0.0	3,395.3	7,823.6	0.0	7,823.6
გრანტები	6,710.7	8,127.1	4,048.7	4,078.4	13,162.3	11,902.6	1,259.7
სხვა შემოსავლები	901.0	940.1	0.0	940.1	884.6	0.0	884.6

### მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები



განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 7 823.6 ათასი ლარის ოდენობით.

							ათასი ლარი
დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	3 762,3	3 395,3	0,0	3 395,3	7 823,6	0,0	7 823,6
საშემოსავლო გადასახადი	390,2	311,2	0,0	311,2	0,0	0,0	0,0
ქონების გადასახადი	3 372,1	3 084,1	0,0	3 084,1	3 000,0	0,0	3 000,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 646,9	1 645,5	0,0	1 645,5	1 600,0	0,0	1 600,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	3,2	0,0	3,2	0,0	0,0	0,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	74,3	93,4	0,0	93,4	50,0	0,0	50,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	81,7	71,8	0,0	71,8	40,0	0,0	40,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1 569,2	1 270,2	0,0	1 270,2	1 310,0	0,0	1 310,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	0,0	0,0	0,0	0,0	4 823,6	0,0	4 823,6
სხვა გადასახადები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 13 162.3 ათასი ლარის ოდენობით:

			ათასი ლარი
დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
გრანტები	6,710.7	8,127.1	13,162.3
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	39.8	138.5	223.2
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0.0	276.0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	6,670.9	7,712.6	12,939.1
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3,254.3	3,663.9	2,671.8



გათანაბრებითი ტრანსფერი	3,153.1	3,508.9	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	101.2	107.0	1,742.3
ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.0	48.0	929.5
<b>ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები</b>	<b>3,416.6</b>	<b>4,048.7</b>	<b>10,267.3</b>
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	2,312.2	3244.1	5835.6
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	0.0	2812.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	104.4	282.1	450.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0.0	0.0	0.0
სტიქიის პრევენციის და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	1000.0	522.5	1169.7

## მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 884.6 ათასი ლარის ოდენობით.  
ათასი ლარი

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>901.0</b>	<b>940.1</b>	<b>884.6</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	450.4	497.4	415.5
პროცენტები	102.3	97.3	100.5
რენტა	348.1	400.1	315.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	307.9	363.7	285.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	40.2	36.4	30.0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0.0	0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	292.8	316.3	203.8
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	268.0	282.5	178.8
სანებართვო მოსაკრებელი	9.7	7.9	5.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.4	0.6	0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	175.0	175.0	28.8
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	82.9	99.0	145.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	24.8	33.8	25.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	24.8	33.8	25.0
<b>ჯარიმები, სანქციები და საურავები</b>	<b>86.4</b>	<b>92.5</b>	<b>204.9</b>



შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	71.4	33.9	60.4
--	------	------	------

**მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 8 758.7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

		2018 წლის ფაქტი				2019 წლის გეგმა		ათასი ლარი
დასახელება	2017 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო	საკუთარი		სახელმწიფო	საკუთარი	
			ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები		ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები	
ხარჯები	5,828.1	7,098.9	3.4	7,095.5	8,758.7	927.5	7,831.2	
შრომის ანაზღაურება	1,344.3	1,732.9	0.0	1,732.9	1,837.4	0.0	1,837.4	
საქონელი და მომსახურება	1,106.9	1,179.0	3.4	1,175.6	2,138.6	748.9	1,389.7	
პროცენტი	89.7	108.4	0.0	108.4	45.0	0.0	45.0	
სუბსიდიები	2,760.0	3,319.9	0.0	3,319.9	3,772.1	0.0	3,772.1	
გრანტები	48.3	37.3	0.0	37.3	45.0	0.0	45.0	
სოციალური უზრუნველყოფა	430.7	475.1	0.0	475.1	522.0	0.0	522.0	
სხვა ხარჯები	48.2	246.3	0.0	246.3	398.6	178.6	220.0	

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 17884.4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო	საკუთარი		სახელმწიფო	საკუთარი
		ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები		
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4,602.5	4,122.6	3,065.0	1,057.6	17,884.4	14,263.5	3,620.9
ზრდა	4,755.5	4,225.6	3,065.0	1,160.6	17,896.4	14,263.5	3,632.9



კლება	153.0	103.0	0.0	103.0	12.0	0.0	12.0
-------	-------	-------	-----	-------	------	-----	------

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 17 896.4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

	ათასი ლარი		
დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	113.7	44.9	37.6
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	4.3	0.0	0.0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3,912.4	3,944.5	15,864.8
განათლება	134.3	227.4	1,953.7
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	590.8	7.6	39.8
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	1.2	0.5
სულ ჯამი	4,755.5	4,225.6	17,896.4

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 12.0 ათასი ლარის ოდენობით.

	ათასი ლარი		
დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	153.0	103.0	12.0
ძირითადი აქტივები	13.1	16.8	0.6
მატერიალური მარაგები	81.1	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	58.8	86.2	11.4
მიწა	58.8	86.2	11.4
სხვა ბუნებრივი აქტივები	0.0	0.0	0.0

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

ფუნქც.	2017 წლის ფაქტი		2018 წლის ფაქტი		2019 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის		მათ შორის



კოდი	დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები			საკუთარი შემოსავლები			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,267.6	0.0	2,267.6	2,583.8	0.0	2,583.8	2,815.7	25.8	2,789.9	
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,127.4	0.0	2,127.4	2,468.1	0.0	2,468.1	2,692.2	0.0	2,692.2	
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,127.4	0.0	2,127.4	2,468.1	0.0	2,468.1	2,669.2	0.0	2,669.2	
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	23.0	0.0	23.0	
7012	საგარეო ეკონომიკური დახმარება	50.5	0.0	50.5	3.8	0.0	3.8	0.0	0.0	0.0	
70122	საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება	50.5	0.0	50.5	3.8	0.0	3.8	0.0	0.0	0.0	
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	89.7	0.0	89.7	111.9	0.0	111.9	123.5	25.8	97.7	
702	თავდაცვა	45.1	0.0	45.1	48.1	0.0	48.1	54.2	0.0	54.2	
704	ეკონომიკური საქმიანობა	4,429.7	3,075.8	1,353.9	3,129.6	1,751.8	1,377.8	14,348.0	11,455.9	2,892.1	
7045	ტრანსპორტი	2,947.3	2,344.5	602.8	1,155.1	901.2	253.9	4,476.0	3,894.2	581.8	
70451	სავაჭრო ტრანსპორტი და გზები	2,888.8	2,344.5	544.3	1,131.5	901.2	230.3	4,452.8	3,894.2	558.6	
70454	საჰაერო ტრანსპორტი	58.5	0.0	58.5	23.6	0.0	23.6	23.2	0.0	23.2	
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1,482.4	731.3	751.1	1,974.5	850.6	1,123.9	9,872.0	7,561.7	2,310.3	
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	307.7	0.0	307.7	1,938.8	1,316.6	622.2	3,288.1	1,517.3	1,770.8	
7063	წყალმომარაგება	127.8	0.0	127.8	1,697.8	1,316.6	381.2	2,135.5	1,512.0	623.5	
7064	გარე განათება	179.9	0.0	179.9	241.0	0.0	241.0	1,152.6	5.3	1,147.3	
707	ჯანმრთელობის დაცვა	40.9	0.0	40.9	49.1	0.0	49.1	58.3	0.0	58.3	
7072	ამბულატორიული მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	7.0	0.0	7.0	
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	7.0	0.0	7.0	
7074	საზოგადოებრივი	40.9	0.0	40.9	49.1	0.0	49.1	51.3	0.0	51.3	





	ჯანდაცვის მომსახურება									
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,577.7	514.6	1,063.1	1,088.4	0.0	1,088.4	1,204.7	0.0	1,204.7
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	411.0	0.0	411.0	434.1	0.0	434.1	411.6	0.0	411.6
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,141.4	514.6	626.8	644.2	0.0	644.2	769.1	0.0	769.1
7083	ტელერადიომუწეობა და საგამომცემლო საქმიანობა	1.5	0.0	1.5	2.1	0.0	2.1	4.0	0.0	4.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	15.8	0.0	15.8	5.3	0.0	5.3	10.5	0.0	10.5
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	8.0	0.0	8.0	2.7	0.0	2.7	9.5	0.0	9.5
709	განათლება	1,183.9	16.7	1,167.2	1,505.9	0.0	1,505.9	3,795.4	2,088.0	1,707.4
7091	სკოლამდელი აღზრდა	957.0	0.0	957.0	1,183.8	0.0	1,183.8	1,299.0	0.0	1,299.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	177.4	16.7	160.7	309.8	0.0	309.8	109.1	2.7	106.4
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	49.5	0.0	49.5	12.3	0.0	12.3	2,387.3	2,085.3	302.0
710	სოციალური დაცვა	731.0	0.0	731.0	980.8	0.0	980.8	1,090.7	104.0	986.7
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	88.1	0.0	88.1	98.5	0.0	98.5	112.6	0.0	112.6
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	383.0	0.0	383.0	539.7	0.0	539.7	577.1	104.0	473.1
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	10.9	0.0	10.9	10.9	0.0	10.9	13.0	0.0	13.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	249.0	0.0	249.0	331.7	0.0	331.7	388.0	0.0	388.0
	სულ	10,583.6	3,607.1	6,976.5	11,324.5	3,068.4	8,256.1	26,655.1	15,191.0	11,464.1

### მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (- 4 772.6) ათასი ლარის ოდენობით.

### მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (- 5052.7) ათასი ლარის ოდენობით.



დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ფინანსური აქტივების ცვლილება	580.1	913.0	980.3	-67.3	-5,052.7	-3,288.4	-1,764.3
ზრდა	812.5	980.3	980.3	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	812.5	980.3	980.3	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	232.4	67.3	0.0	67.3	5,052.7	3,288.4	1,764.3
ვალუტა და დეპოზიტები	232.4	67.3	0.0	67.3	5,052.7	3,288.4	1,764.3

### მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-280.1) ათასი ლარის ოდენობით.

### მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 23.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

### მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად 2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 107.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 51.3 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 54.2 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 1.5 ათასი ლარი.

2. 2015-2018 წლებში დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში დარჩენილი 46,9 ათასი ლარი მიიმართოს „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების და „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით დელეგირებული უფლებამოსილებების, კერძოდ, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირების მაღალმთიან დასახლებაში ცხოვრების მონიტორინგის ხარჯების დასაფინანსებლად.

3. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.



## **მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **თავი II**

#### **დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

## **მუხლი 16. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

### **1. თავდაცვა და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტით მომსახურება და სარეზერვო ძალების მობილიზება.

#### **1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით დუშეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტით მომსახურება, ასევე – სარეზერვო ძალების მობილიზება.

### **2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

დუშეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, კეთილმოწყობის სამუშაოები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

#### **2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)**

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა. ასევე მნიშვნელოვანია საჭაერო ტრანსპორტი მაღალმთიანი სოფლებისათვის, სადაც დიდ თოვლობის დროს ავტოტრანსპორტით მისვლა შეუძლებელია. საჭაერო ტრანსპორტი ამ დროს იძენს სასიცოცხლო მნიშვნელობას მაღალმთიანი სოფლებისთვის.

##### **2.1.1 გზების მშენებლობის რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია გზების მშენებლობა – რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა. ქ. დუშეთში ბუაჩიძის, ზანდუკელის, გოგებაშვილის ქუჩების მოასფალტება, აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის მოასფალტება, ბაჩანას ქუჩიდან აღმაშენებლის ქუჩამდე გზის მოასფალტება, აღმაშენებლის ქუჩის მონაკვეთის (ახალი ტონჩის ხიდამდე) გზის მოასფალტება, ქ. დუშეთის ქუჩების ფრაგმენტული მოასფალტება, დუშეთი – მილახვრიანთ დასახლებაში შიდა გზის რეაბილიტაცია, ლაფანაანთკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. აბანოსხევი-ჭოპორტის მიმართულებით გზის მონაკვეთის მოასფალტება, გუდაურის 1კმ გზის მოასფალტება, ქ. დუშეთში, ერისთავის ქუჩის ჩიხის (18 ბინიანის შესასვლელი) და თეატრის ქუჩის შესახვევის მოასფალტება, ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფელ ანანურში გზის მოასფალტება, შიდა გზების მოასფალტება I, II მონაკვეთი და ძველი სამხედრო გზა, ეკლესიასთან



მისასვლელი გზის, მთავარი გზიდან პლიაჟამდე მისასვლელი გზის მოასფალტება, ქართლის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯუღისის ხევზე დოლასქედთან საავტომობილო ხიდის მოწყობა, ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩანადირებიდან საკრამულამდე არსებული საავტომობილო გზის მოწყობა, სოფ. ჩანადირთვარში შიდა გზების მოხრეშვა, სოფ. საშაბუროში შიდა გზის მონაკვეთის მოხრეშვა, ჟინვალის ადმინისტრაციულ ერთეულში, რადიოსადგურის დასახლებაში ასფალტის გზის რეაბილიტაცია, დაბა ჟინვალში №1 და №15 საცხოვრებელი კორპუსების ეზოების მოასფალტება, სოფ. ნემიხის და ხორხის დამაკავშირებელი გზის შეკეთება, ფასანაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ.წინკობანის საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია.

## **2.1.2 საჰაერო ტრანსპორტით მომსახურება(პროგრამული კოდი 03 01 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მეწყერების, დიდთოვლობის შედეგად ჩაკეტილი გზების და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში, შატისა და არხოტში საჰაერო ტრანსპორტით მომსახურება.

## **2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა, დასუფთავების, გამწვანების ღონისძიებები, სკვერების მოვლა-პატრონობა, მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

### **2.2.1 გარე-განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია და მზის პანელების შესყიდვა (პროგრამული კოდი 03 02 01)**

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მომხმარებელი ელექტროენერჯის ხარჯი. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ქართლის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭოპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. წითელსოფელში სარწყავი არხის გასწვრივ გარე განათების მოწყობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ელექტროენერჯის გარეშე არსებულ დასახლებებში მაცხოვრებლებისათვის მზის პანალებით უზრუნველყოფა, რომლის ფარგლებშიც დუშეთის მუნიციპალიტეტში ფინანსდება 65 ერთეული მზის ელექტროსადგურის სისტემის შესყიდვა.

### **2.2.2 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია წყალმომარაგების სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია. დუშეთის მუნიციპალიტეტის, ჟინვალის ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფ. ჟინვალის და სოფ.ჩინთის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სოფ. ზემო არანისში ჭაბურღილის და ქსელის მოწყობა, ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლების: ჩირდილელიანთვარის, გრიგოლაანთვარის, ჩუბინიანთვარის, ჩანადირთვარის, საშაბუროს, ლაზვიანთვარის, მლაშის (სათბურების დასახლებაში) სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, სოფ. ბაზალეთში ე.წ. „ნათელაანთ უბნის“ სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, მჭადიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ახალი კადოეთის, სოფ. ლამოვანის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში ფიტავის დასახლებაში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სოფ. ანანურში, სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია, ზოტიკიანთვარი-შალიკიანთვარის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ჭონქაძის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჯავახიანთვარში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ხეობის და ლაფანაანთვარის ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფ.ახალციხის, სოფ.ქერიანთვარის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ლუთხუბში, სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ჭონქაძის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ არღუნში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

### **2.2.3 სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)**



ქვეპროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა და ამორტიზირებული ნაწილის განახლება-რეკონსტრუქცია. იგეგმება აგრეთვე დამცავი გაბიონების მოწყობა და დაზიანებულების აღდგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: დუშეთი – სულიკიანთ დასახლებაში სანიაღვრე არხის შეკეთება, სულიკიანთ დასახლებაში სანიაღვრე არხის გაწმენდა და რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა ცხაურით, ჭონქაძის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. არაგვისპირში მთიულების დასახლებასთან მდებარე სანიაღვრე არხის კალაპოტის გაწმენდა, კარიაულთ დასახლება – ქერანის საავტომობილო გზის გასწვრივ სანიაღვრე არხებისა და ბოგირების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხის მოწყობა კარიაულთკარის ხევში და ხევის გადავსების სამუშაოები, ჟინვალის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ბიჩნიგაურებში სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია, დუშეთი – შალიკიანთ დასახლებაში სანიაღვრე არხის მოწყობა.

#### 2.2.4 ა(ა)იპ „დუშეთის წყალი“ (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია, დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი დასახლებების წყალმომარაგება სასმელი და სამეურნეო (ტექნიკური) წყლით, წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების მოვლა-პატრონობა და შეკეთება.

#### 2.2 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 03 03)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხის ფარგლებში დაგეგმილია ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია, კეთილმოწყობა.

#### 2.4 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

დღევანდელ დროში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ახალგაზრდებში, რისთვისაც მნიშვნელოვანია სპორტული ობიექტების მშენებლობა, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას, რისთვისაც საჭიროა ქალაქის გამწვანება, ბაღების, სკვერების მოწყობა, კულტურული ობიექტების მოვლა-შენახვა.

#### 2.4.1 ბაღების, სკვერების, სავაჭრო პავილიონების, სარიტუალო დარბაზების, კულტურული ობიექტების, ამბულატორიების, სასწრაფო სამედიცინო დახმარების და საგანგებო სიტუაციების ცენტრების მოწყობა-რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია, დუშეთის მუნიციპალიტეტის, გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჩოხში, გოდერძი ჩოხელის სახლ-მუზეუმის მშენებლობა, ქ. დუშეთის ცენტრალურ პარკში ვიდეოკამერების მონტაჟი, ქ. დუშეთში, საზოგადოებრივი ცენტრის მიმდებარედ ეზოს კეთილმოწყობა, ანანურის ეკლესიის ტერიტორიის კეთილმოწყობა, ჟინვალის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ზემო არანისში კოშკის გამაგრების სამუშაოები, დაბა ჟინვალში სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები, ქ. დუშეთში, მზრუნველობამოკლებულთათვის განკუთვნილი უფასო სასადილოს რეაბილიტაცია, ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფ. ციხისძირში) სკვერის მოწყობა, ბაზალეთის, მჭადიჯვრის, ქვეშეთის, ბარისახოს, შატილის, გრემისხევის ამბულატორიების შეკეთება, უკანაფშავის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. შუაფხოში და ბარისახოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ახიელში ამბულატორიების მშენებლობა, ქ. დუშეთში და დაბა ფასანაურში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრების მშენებლობა.

#### 2.4.2 ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 04 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

- ქალაქის, დაბების, სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა;
- ნარჩენების სეპარირებისათვის განკუთვნილი სპეციალური ურნების შესყიდვა;



- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზებულ თავშესაფარში;
- გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, ქალაქის იერსახის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;
- ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნისათვის ტერიტორიის გამწვანება, ნარგავების, სკვერების მოვლა-პატრონობა, გამწვანების ზონაში ყვავილების და სხვა დეკორატიული მცენარეების დარგვა;
- ქ. დუშეთის სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

## **2.5 სტიქიის პრევენციისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 05)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სტიქიის პრევენციის ღონისძიებების, სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, სანიაღვრე არხების (მათ შორის, წყალგამტარი მილები), ბოგირების, გაბიონების, ბეტონის საყრდენი კედლების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენითი სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.

## **2.6 სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 06)**

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს, მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების გათვალისწინებით, შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად მთელ რიგ შემთხვევებში საჭიროა წინასაპროექტო კვლევების მათ შორის საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შესყიდვა. ამასთან

აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

## **3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. გარდა ამისა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება სკოლა-პანსიონების დაფინანსება მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით.

### **3.1 სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 18 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 670-ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

### **3.2 საჯარო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დუშეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება.

### **3.3 მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 03)**



პროგრამის ფარგლებში, მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტი აფინანსებს მადაროსკარის, ბარისახოს და შატილის სკოლა-პანსიონებს. პანსიონებში ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 27-ს. მუნიციპალიტეტი აფინანსებს პანსიონების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

### **3.4 საბავშვო ბაღების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 04)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია, დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ბულაჩაურის, სოფ. არაგვისპირის, სოფ. ჭართლის საბავშვო ბაღების გათბობის სისტემის მოწყობა. სოფ. ბაზალეთის, სოფ. ანანურის, სოფ. ქვეშეთის, სოფ. ბარისახოს და ფასანაურის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.

### **4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია, ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

#### **4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და წარმატებული სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისება. 2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. ჩატარდება მუნიციპალური, რეგიონული, საერთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში, უმცროს ასაკში, ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში, ასევე რეგიონული და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში, ფრენბურთში, ნიჩბოსნობაში, კრივი, კარატეში. წარმატებები არის ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში: ფეხბურთში, ფრენბურთში, კრივი, კარატეში, ნიჩბოსნობაში. აღსაზრდელები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირში, სადაც კარგი მიღწევებით გამოირჩევიან.

##### **4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიების, ტურნირის, შეჯიბრების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება.

##### **4.1.2 სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებისა“ და მისი ფილიალების: სასპორტო სკოლის, ჭიდაობის და სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტის 11 სახეობა (ფეხბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი, ფრენბურთი, ნიჩბოსნობა, კრივი, კარატე, ტანვარჯიში, ძალოსნობა, მძლეოსნობა, რაგბი).

#### **4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრება ყოველთვის გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და ღონისძიებების სიმრავლით, რაც ხელს უწყობს, როგორც ქართველი ხელოვანების შემოქმედებითი იდეების რეალიზებას, ასევე მუნიციპალიტეტის, კულტურული სტატუსის დამკვიდრებას.

პროგრამა გულისხმობს ჩვენი ქვეყნის ხელოვანების ღირსეულად წარმოჩენას, მათ ხელშეწყობას და მათი პროექტების მემკვიდრეობით მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ღვაწლმოსილი ხელოვანების სათანადოდ დაფასებასა და მათი შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას, მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის



ფარგლებში გაგრძელდება კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

#### **4.2.1 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა და დაფინანსება. მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება.

#### **4.2.2 სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)**

